ცნობა

თინათინ ხიდაშელი დაიბადა 1973 წლის 8 ივნისს, ქ. თბილისში.

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი.

1996 წელს დაამთავრა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა (ქ. ბუდაპეშტი) და ვაშინგტონის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი.

მინიჭებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

1994-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტში, მთავარ სპეციალისტის თანამდებობაზე.

1996-1997 წლებში იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტი.

1997-1999 წლებში ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის დირექტორი.

2000-2004 წლებში იყო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.

2002-2004 წლებში სახელმწიფო ანტიკორუფციული საბჭოს წევრი.

2005 წლეს იყო ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მმართველი საბჭოს თავმჯდომარე.

2005 წლიდან არის საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარიატი, გაეროს განვითარების პროგრამა, ღია საზოგადოების ინსტიტუტი, ევროპის საბჭო, წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია, წამების პრევენციის ასოციაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა.) კონსულტანტი სამართლის უზენაესობის, კორუფციასთან ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

2005 წლიდან ასრულებს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის საერთაშორისო მდივნის ფუნქცია - მოვალეობებს.

2009-2012 წლებში წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას, როგორც დედაქალაქის საქმეთა მდივანი

2010-2012 წლებში იყო თბილისის საკრებულოს წევრი და ასევე, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი.

2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის პირველ მაისამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მოადგილე და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

2015 წლის პირველ მაისს დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.